

From: Shota Shotadze <shotadze1990@gmail.com>
Sent: 24 February 2021 15:40
To: Kakhi Bekauri; Post COMCOM; Consumer Rights Public Defender; Eliso Asanidze; Gvantsa Chkheidze; Merab Katamadze; Vakhtang Abashidze; Rusudan Chabukiani; Oliko Watt
Subject: საჩივარი რეგლამენტზე კომისიის წინააღმდეგ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარეს ბ-ნი **კახა ბექაურს**
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ
დამცველს ქ-ნი **გვანცა ჩხეიძეს**

რეგლამენტის ცვლილებასთან დაკავშირებით

ბატონო კახა

1. მოქმედი რეგლამენტით, სილქნეტს არ აქვს უფლება ჯარიმა დააწესოს მესამე პირისთვის ინტერნეტის გადაცემა/გამოყენებაზე და აბონენტის ინტერნეტის მესამე პირისთვის გადაცემა/გამოყენების აკრძალვა არსად არაა რადგან, აბსურდულია მარტივი მიზეზის გამო, მესამე პირია ოჯახის წევრი, სტუმარი და ა.შ ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა ანუ უკანონო ინტერნეტ პროვაიდერობა (მაუწყებლობაც და ა.შ) ისედაც კანონმდებლობით დასჯადია და კომისიის ვალდებულებაა როგორც მონიტორინგი, ასევე დამრღვევის დაჯარიმების უფლება და არა კომპანიის .
2. მოქმედი კანონმდებლობა და საერთაშორისო პრაქტიკაც არ კრძალავს მესამე პირისთვის ინტერნეტის გადაცემა/გამოყენებას.
3. რეგლამენტის ახალი ვერსიის მე-3 პუნქტით არაა დაკონკრეტებული, კომპანიას რა შემთხვევაში აქვს უფლება სანქცია დააწესოს და არსებული ჩანაწერი პასუხია ჩემს მიერ, სილქნეტის წინააღმდეგ გამოგზავნილი უკანონო 20000/5000 ლარიანი ჯარიმაზე და დამატებით არავინ იცის კომპანია რას ჩაწერს ხელშეკრულებაში და რაზე დააწესებენ ჯარიმას. კომპანიას შეუძლია ისეთ რამეზე დააწესოს ჯარიმა რომელიც არც კანონმდებლობით და არც რეგლამენტით იქნება დარღვევა და შესაძლოა არც კომისიის რეგულირებადი საკითხი იყოს და მომხმარებლები მარტო დარჩნენ კომპანიის წინააღმდეგ და ეს არის სწორედ მნიშვნელოვანი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წახალისება და არა მომხმარებლების ინტერესების დაცვა და მომხმარებლების დაცვა თუ მართლა გაინტერესებთ, რეგლამენტით დამატებით შეგიძლიათ აუკრძალოთ რეგულირებად მომსახურებაზე ისეთი სანქციის დაწესება რომლის უფლებაც არც კანონით აქვთ და არც რეგლამენტით და სრულიად საკმარისია ხელშეკრულების ნაადრევად გაწყვეტაზე, ინსტალაციის ღირებულების და დავალიანების დაფარვა და დავალიანებაზეც , ძირითადად წინასაწარი გადახდა მოქმედეს და არა მომსახურების შემდეგ გადახდის სისტემა ანუ მარტივად მოხმარებელს დავალიანება ძირითად მომსახურებებზე არ უგროვდება (ფიქსირებული ინტერნეტი, მობილური მომსახურება , ტელევიზია)
4. ტარიფების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით , ახალი ჩანაწერით უფლებას აძლევთ იურიდიულ პირებზე არ გამოაქვეყნონ და ეს არის მოქმედი დისკრიმინაციული და კატასტროფულად მაღალი ტარიფების წახალისება, (დისკრიმინაციული და კატასტროფულად მაღალ ფასებზე საკმარისზე მეტი მტკიცებულება აქვს კომისიას და კომისიის მთავარი ვალდებულებაა კანონმდებლობით არის დაიცვას მომხმარებლები არაგონივრულად მაღალი და დისკრიმინაციული ტარიფებისგან)
5. გთხოვთ ამოიღოთ მომხმარებელთა დაცვის შესახებ რეგლამენტიდან , მომხმარებლებისთვის საზიანო და მონოპოლისტების სასარგებლო მუხლები და ნახსენები მუხლების ჩაწერას, საერთოდ არაფერი ჩაწეროთ უკეთესი იქნება და თქვენს გამო მომხმარებლები არ უნდა დაზარალებდნენ და მხოლოდ მონოპოლისტების ინტერესების დაცვა არ უნდა იყოს პრიორიტეტი .

მ-21-9/844
24,02,2021
2- ფურცელი

6. მომხმარებლის, ბიზნესის და სახელმწიფო ინტერესების დაცვისთვის დაიცავით კანონი , დაიცავით მომხმარებლები არაგონივრულად მაღალი ტარიფებისგან , გამოაცხადეთ დროულად 5G ს დანერგვისთვის აუქციონი. იურიდიული პირებისთვის ინტერნეტის კატასტროფულად მაღალ ფასების საჩივარზე წარმოება დაიწყეთ
7. მომხმარებელთა დამცველისგან მოითხოვეთ მომხმარებლის დაცვა .

შოთა შოთაძე
24/02/2021